

ავტორი: ელენე ფურცელაძე

სკოლა: სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლა.

რაიონი: თბილისი.

პროექტი #4

შეიმუშავეთ კითხვარი, რომელიც შეიცავს კიბერბულინგის სხვადასხვა ფორმას. მოაწვევთ ანონიმური გამოკითხვა. დაადგინეთ, რამდენად ხშირად ექცევიან თქვენი თანატოლები ვირტუალური ბეწოლის ქვეშ და ძალადობის რა ფორმებია ყველაზე ხშირი.

კიბერბულინგი, იგივე კიბერდევნა ნიშნავს დაცინვას, შეურაცხყოფას, აღევნებას და სიგყვიერ, ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც გარკვეული სიხშირით ხორციელდება ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. იგი ონლაინძალადობის ყველაზე გავრცელებული, ხშირი და უკონტროლო ფორმაა, რომლის რიცხვმაც ჩვენს საუკუნეში შეიძლება ითქვას, რომ პიკს მიაღწია. კიბერბულინგის შედეგებიც საკმაოდ მძიმეა და იყოფა ორ კატეგორიად: ფსიქოემოციური და ფიზიკური. ფსიქოემოციურ კატეგორიას განეკუთვნება სტრესი, ნევროზი, დეპრესია და სხვა, ხოლო ფიზიკურს ბულებია, თვითდაზიანება, სუიციდური აზრები და ყველაზე მძიმე შემთხვევაში სუიციდი, რისგან თავის დაღწევა ისევე რთულია, როგორც სხვადასხვა ფსიქიკური პრობლემებისგან.



დღესდღეობით ტექნოლოგიები და თანამედროვე ცხოვრების სტილი ხელს გვიწყობს სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში. რადგან კიბერბულინგი ყველა ასაკის ადამიანებს ეხება და მძიმე დაღსაც ასვამს, ხოლო მისგან თავის დაღწევა საკმაოდ რთულია, ვფიქრობ, კიბერბულინგი ძალზედ საინტერესო თემაა, სწორედ ამიტომ ავირჩიე პროექტი N4.

მე ჩავაგარე კვლევა, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო კითხვასთან, თუ რამდენად ხშირად ექცევიან ჩემი თანატოლები ვირტუალური ბეწოლის ქვეშ და ძალადობის რა ფორმებია ყველაზე ხშირი.

კითხვარი იყო შემდეგი: <https://forms.gle/ADGPFQzD4WppS3dk8>, რომელიც შედგებოდა 13 მოკლე კითხვისგან, რათა რესპოდენტებს გამარტივებოდათ პასუხების გაცემა. რესპოდენტების რაოდენობა შეადგენდა 18, უმეტესად 14-15 წლის მოზარდებს.


ინფორმაციის წყაროს კი მხოლოდ ქალბატონი ხათუნა ციხელაშვილის ლექცია წარმოადგენდა.

პირველი და მეორე კითხვები იყო შემდეგი:



სტატისტიკაზე დაყრდნობით, სამმა კაცმა არ იცის, თუ როგორ აარიდოს თავი კიბერბულინგს, თუმცა რაგომდაც ხუთი მოზარდი გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი. შესაძლოა, მსხვერპლის როლში ყოფნის შემდგომ ისწავლეს, თუ როგორ აერიდებინათ თავი კიბერბულინგისთვის, ან როგორც ყოველთვის, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის გაცემა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა ბევრად იოლია, ვიდრე პრაქტიკაში მისგან თავის არიდება. მე უპირატესობას მეორე შესაძლო ვარიანტს ვანიჭებ, რადგან ვშიშობ, ეს პრობლემა მხოლოდ კიბერბულინგს არ უკავშირდება.

თუ დიახ, რა სახის ყოფილა ზეწოლა?



როგორც ჩანს, მსხვერპლთა უმრავლესობა (სამი მოზარდი) სიმულვილის ენის შემცველი/დამცინავი კონტენტის გაზიარების მსხვერპლი გამხდარა. ასევე გვაქვს სექსტინგის, თვითმკვლელობის წაქეზების და პირადი ექაუნთის გატეხვის შემთხვევებიც.

შემდეგი კითხვა იყო ასეთი:

თუ გამხდარხართ კიბერბულინგის მსხვერპლი, გითქვამთ თუ არა უფროსისთვის? და რა ნაბიჯები გადაგიდგამთ თავის დასაღწევად?

1 ვუთხარი დედაჩემს და მითხრა დააიგნორეო და მეც ვგრე მოვიქცი

2,3,4	არ მითქვამს, უბრალოდ დავაიგნორე
5	არ მითქვამს დავბლოკე
6	არაფერი გააკეთე


დღევანდელ რეალობაში, მოზარდები იმდენად შორს არიან თავიანთი მშობლებისგან, რომ ამ საშიშროების შესახებ მათ ვერაფერს უმხელენ, ან ემინიათ (მუქარის შემთხვევაში), ან სულაც არ აქვთ ინფორმაცია მიღებული კიბერბულინგის შესახებ და ჰგონიათ, რომ არაფერია საგანგაშო. ორივე შემთხვევა მძიმე, მაგრამ მოგვარებადია.

აღსანიშნავია, რომ ზოგად სტატისტიკაზე დაყრდნობით,

- მოზარდთა 40%-ზე მეტი ერთხელ მაინც გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი.
- მოზარდთა 70%-ზე მეტი შესწრებია კიბერბულინგის ფაქტებს.
- ხშირად მოზარდებში კიბერბულინგი ემყარება უწყინარ და გაუაზრებელ ქმედებას.
- მოზარდთა 75% აღიარებს, რომ ერთხელ მაინც გაუქილიკებია თანაგოლი სოციალური ქსელის მეშვეობით.

ყოველივე ბემოთქმულიდან გამომდინარე, ხშირად ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ გავხდით კიბერბულინგის მსხვერპლნი, თუმცა სხვის შემთხვევაში მარტივად ვამჩნევთ, რადგან ყველაფრის შორიდან შემჩნევა სხვა ადამიანზე ბევრად იოლია, ვიდრე საკუთარ თავზე.

ამ ყველაფერს ცხადყოფს ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც.



კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო ფაქტი, რომ მოზარდთა და არა მარტო მოზარდთა, არამედ საზოგადოების უმეტესობა ვერ ანალიზებს კიბერბულინგის შემთხვევებს, რადგან ფიქრობენ, რომ თუნდაც სიტუაციის შემცველი კომენტარების დაწერა პოსტზე ჩვეულებრივი ამბავია და არ თვლიან კიბერბულინგად. მაგალითად, გიკ-გოკი, სოციალური ქსელი, რომელზეც ყოველდღე სხვადასხვა სახის კონტენტი იდება და თითოეულ მათგანზე ათასობით სიტუაციის შემცველი კომენტარები იწერება, სამწუხაროა, რომ საზოგადოება ამას კიბერბულინგად დიდი ხანია აღარ თვლის... თითოეული ჩვენგანი შესწრებია კიბერბულინგის

ფაქტებს, უბრალოდ ვისაც ჰგონია, რომ არ შესწრებია, ვერ აღიქვამენ კიბერბულინგის ფორმებს და მის საშიშროებას.

თუ დიას, გადაგიდგამთ თუ არა ნაბიჯი მსხვერპლის დასახმარებლად? (თუ გადაგიდგამთ, დაასახუთეთ როგორ, ხოლო თუ არ გადაგიდგამთ, დაასახუთეთ რატომ)	
1	არ გადამიდგამს, უფროსები ჩაერივნენ
2	არა, არ ვიცილობდი
3	არა
4	არ გადამიდგამს, იმიტომ, რომ რა ამრი აქვს, მაინც არ მომისმენენ
5	გადამიდგამს, მიმიმართავს სპეციალური ორგანოებისთვის და მოხდა ამ საქმის შესწავლა
6	კი

მინდა გამოვეყო სამი ყველაზე საინტერესო პასუხი.



1. მეორე რესპოდენტის პასუხი, რომ ის მსხვერპლს არ იცნობდა საინტერესო იმიტომ არის, რომ ნუთუ ადამიანს აუცილებლად უნდა იცნობდეს რომ დაეხმაროს? ნუთუ უცნობი ადამიანის დახმარება არ შეიძლება? ნუთუ უცნობი ადამიანის რთულ მდგომარეობაზე თვალი უნდა დაგხუჭოთ? არამც და არამც, მსხვერპლი მსხვერპლია და ვიცნობთ თუ არა, ის საჭიროებს ჩვენს დახმარებას.
2. მეოთხე რესპოდენტის პასუხმა ასეთისე გამოაკვირვა მხოლოდ იმიტომ, რომ არ ველოდი, თორემ ზოგადად არაა გასაკვირი, რომ ხალხი ერთმანეთს არ უსმენს და ამიტომ გვიჩნდება არ მოსმენის შიში, ჩვენ გვგონია, რომ თუ ხმას ამოვიღებთ, არავინ მოგვისმენს, რადგან სამოგადოებამ გვაფიქრებინა, რომ ჩვენი ხმის ამოღებას შედეგი არ აქვს და რომ არაფრად ღირს. ეს შიში, ხმის ამოღების, გაპროტესტების, შეწინააღმდეგების შიში ფართოდ გავრცელებულია მოზარდებში, რაც იწვევს შემდგომ ისეთ სირთულეებს, როგორცაა ფსიქიკური აშლილობები, რაც არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ სხვაზეც უარყოფითად ისახება.
3. მეხუთე რესპოდენტის ქმედება და გამბედაობა უდაოდ დასაფასებელია. მე ვამაყობ იმ მოზარდით, რომელმაც საქმე ამ დონემდე გაშალა და მოხდა ამ საქმის ღრმა შესწავლა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს პირველი რესპოდენტის მშობლების ჩარევა და მეხუთე რესპოდენტის გადადგმული ნაბიჯიც.

ონლაინ სივრცეში ძალადობის რომელ ფორმებზე გსმენიათ ყველაზე ხშირად?	
1,2,3	პერსონალური ინფორმაციის გავრცელება
4	დაცინვა გარეგნობაზე და კონტინგზე
5	მუქარა
6	შანტაჟი
7,8	დაცინვა, შეურაცხყოფა.
9	სექსინგი, ლოქსინგი
10	არცერთზე მაგრამ ირონიული კომენტარები, მაგალითად, ვიდეოზე ან ფოტოზე მინახავს
11	აქაუნთის წართმევა, ან მითვისება, ასევე პირადი ინფორმაციის გავრცელება სოც. ქსელში
12	გრუმინგზე

13,14,15	სიძულვილის შემცველი კომენტარების დაწერა
15,16,17,18	არ მსმენია

- მოზარდებს კიბერბულინგის ფორმებიდან ყველაზე ხშირად სმენიათ პერსონალური ინფორმაციის გავრცელება, სიძულვილის შემცველი კომენტარების დაწერა, დაცინვა და შეურაცხყოფა.
- მოზარდების უმრავლესობა სიძულვილის ენის შემცველი/დამცინავი კონტენტის გავრცელების მსხვერპლი გამხდარა.
- მოზარდები ვირტუალური ბეწოლის ქვეშ ექცევიან საკმაოდ ხშირად, თუმცა ეს მათთვის ხშირად შესამჩნევი არ გახლავთ.



მოზარდთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შეუძლიათ ამოიციონ კიბერბულინგის მსხვერპლი და თავად კიბერბულიც. კიბერბულინგის ამოცნობა კი სტატიკისტიკის მიხედვით, მეტად იოლია.

ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები:

- გამოკითხვაში მონაწილეთა 83,3%-ის ასაკი შეადგენდა 14-15 წელს, 16,7% კი 16-18 წელს.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 61,1%-ს ჰგონია, რომ მოზარდთა 40-60% გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი, 33,3% მიიჩნევს 10-30%-ს, ხოლო 5,6% მიიჩნევს 70-100%-ს.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 83,3%-მა იცის თუ როგორ აარიდოს თავი კიბერბულინგს.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 27,8% გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 55,6%-ს ჰყავს გარშემო თანატოლი/თანატოლები, ვინც მოქცეულან ვირტუალური ბეწოლის ქვეშ.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 44,4% გამხდარა კიბერბულინგის მოწმე.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 72,2%-ს შეუძლია კიბერბულინგის მსხვერპლთა ამოცნობა.
- გამოკითხვაში მონაწილეთა 88,8%-ს შეუძლია კიბერბულინგის ამოცნობა.

და უკანასკნელი, დასკვნითი კითხვა, რომელიც უდაოდ საინტერესოა.

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება აისახოს კიბერბულინგი მოზარდზე და მის მენტალურ ჯანმრთელობაზე?	
1	დააზიანებს მის თავდაჯერებულობას
2	სტრესი, თვითდაზიანება, დეპრესია და ა.შ
3	შეიძლება ჰქონდეს სუიციდური ფიქრები
4	მოზარდებზე შეიძლება ძალიან ცუდად იმოქმედოს და მათი მენტალური ჯანმრთელობა გააუარესოს.
5	რა თქმა უნდა, უარყოფითად, ამის გამოსასწორებლად მეგობრებმა და ოჯახმა ყველაფერი უნდა გააკეთოს
6	მოზარდი იქნება ჩაკეტილი და დაკარგავს ხალხთან კომუნიკაციას

7

გააჩნია მენგალურ მდგომარეობას, თუ ადამიანს აქვს კარგი თვითშეფასება და თავდაჯერებულობა, მაშინ კიბერბულინგი მასზე ღიდ ზეწოლას ვერ მოახდენს, მაგრამ თუ ადამიანი დამოკიდებულია, ან ღიდ ყურადღებას აქცევს საზოგადოების აზრს, მაშინ მას საზოგადოების კარგი კომენტარი გაუხარდება, ცული კი ეწყინება, მაგალითად, თუ მან კომენტარი დაწერა ვიდეოზე ან ვიდეო გადაიღო და კომენტარებში დაცინვა დახვდა, მასზე ღიდ ზეწოლას მოახდენს. კიბერბულინგი შედეგად შეიძლება მან ვიდეო/ექაუნთი წაშალოს, დეპრესიაში ჩაფარდეს ან ყველაზე ცულ მდგომარეობაში (მასიური კიბერბულინგის შემთხვევაში) თავი მოიკლას

მომართა დაწერილი ყველა პასუხი შეესაბამება სიმართლეს, ანუ თითოეულმა მათგანმა იცის, თუ რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს კიბერბულინგს, თუმცა აგრეთვე აღსანიშნავია, რომ იყო პასუხებიც, სადაც ეწერა, რომ მათ არ იცოდნენ რა შედეგები შეიძლებოდა დაეღო კიბერბულინგს, ან სულაც ზოგი მიიჩნევდა, რომ კიბერბულინგით არაფერი იცვლებოდა, რაც კიდეე ერთხელ ამტკიცებს, რომ საზოგადოებას, ყველანაირი ფენის წარმომადგენელ პიროვნებას სჭირდება ცნობიერების ამაღლება კიბერბულინგთან დაკავშირებით.